

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N04
19 თებერვალი 2026 წ.

დაბა ლენტეხი

„ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 დეკემბრის №28 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 190020020.35.115.016451 01/01/2026 წ.) და დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი I

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	სულ	2025 წლის გეგმა		სულ	2026 წლის გეგმა	
			მათ შორის			მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	18,781.0	17,507.3	7,247.4	10,259.8	17,099.9	5,175.8	11,924.1
გადასახადები	6,989.1	7,765.9	0.0	7,765.9	8,386.8	0.0	8,386.8
გრანტები	11,506.2	9,428.5	7,247.4	2,181.0	8,333.1	5,175.8	3,157.3
სხვა შემოსავლები	285.7	312.9	0.0	312.9	380.0	0.0	380.0
II. ხარჯები	9,113.7	11,276.9	974.4	10,302.5	12,217.4	766.3	11,451.1
შრომის ანაზღაურება	2,530.2	3,144.1	0.0	3,144.1	3,406.1	0.0	3,406.1
საქონელი და მომსახურება	2,516.1	2,552.2	968.9	1,583.2	2,352.8	766.3	1,586.5

პროცენტი	0.0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	3,621.9	5,116.7	0.0	5,116.7	5,901.5	0.0	5,901.5

გრანტები	0,0	50.0	0.0	50.0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	260.5	340.3	0.0	340.3	391.0	0.0	391.0
სხვა ხარჯები	125.0	73.7	5.5	68.2	166.0	0.0	166.0
III. საოპერაციო სალდო	9,667.3	6,230.4	6,273.0	-42.6	4,882.5	4,409.5	473.0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	10,041.3	9,587.3	9,278.1	309.2	8,122.6	7,475.1	647.6
ზრდა	10,048.9	9,787.3	9,278.1	509.2	8,172.6	7,475.1	697.6
კლება	7.6	200.0	0.0	200.0	50.0	0.0	50.0
V. მთლიანი სალდო	-374.0	-3,356.9	-3,005.1	-351.8	-3,240.2	-3,065.6	-174.6
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-374.0	-3,366.9	-3,005.1	-361.8	-3,250.2	-3,065.6	-184.6
ზრდა	3,366.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	3,366.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	3,740.9	3,366.9	3,005.1	361.8	3,250.2	3,065.6	184.6
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	3,366.9	3,005.1	361.8	3,250.2	3,065.6	184.6
VII. ვალდებულებების ცვლილება	0.0	-10.0	0.0	-10.0	-10.0	0.0	-10.0
კლება	0.0	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
საშინაო	0.0	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
სესხები	0.0	0,0	0,0	0.0	0,0	0,0	0.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

17,149.9 ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	სულ	2025 წლის გეგმა		სულ	2026 წლის გეგმა	
			მათ შორის			მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	22,529.5	17,707.3	7,247.4	10,459.8	17,149.9	5,175.8	11,974.1
შემოსავლები	18,781.0	17,507.3	7,247.4	10,259.8	17,099.9	5,175.8	11,924.1
არაფინანსური აქტივების კლება	7.6	200.0	0.0	200.0	50.0	0.0	50.0
ფინანსური აქტივების კლება	3,740.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	19,162.5	21,074.2	10,252.5	10,821.7	20,400.0	8,241.4	12,158.7
ხარჯები	9,113.7	11,276.9	974.4	10,302.5	12,217.4	766.3	11,451.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,048.9	9,787.3	9,278.1	509.2	8,172.6	7,475.1	697.6
ვალდებულებების კლება	0.0	10,0	0,0	10,0	10.0	0.0	10.0
ნაშთის ცვლილება	3366.9	-3366,9	-3005.1	-361.8	-3250.2	-3065.6	-184.6

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 17,099,9

ათასი ლარით

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა				2026 წლის გეგმა	
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	18,781.0	17,507.3	7,247.4	10,259.8	17,099.9	5,175.8	11,924.1
გადასახადები	6,989.1	7,765.9	0.0	7,765.9	8,386.8	0.0	8,386.8
გრანტები	11,506.2	9,428.5	7,247.4	2,181.0	8,333.1	5,175.8	3,157.3
სხვა შემოსავლები	285.7	312.9	0.0	312.9	380.0	0.0	380.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 8,386.8

ათასი ლარით:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა				2026 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის			სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავ ლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	6,989.1	7,765,9	0.0	7,765,9	8,386.8	0.0	8,386.8	
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
დამატებითი ღირებულების გადასახადი	6,914.9	7,695,9	0,0	7,695.9	8,306.0	0,0	8,306.0	
ქონების გადასახადი	74.2	70.0	0.0	70.0	80.0	0.0	80.0	
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	74.2	70.0	0.0	70.0	80.0	0.0	80.0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 8,333.1 ათასი ლარით:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
გრანტები	11,506.2	9,428.5	8,333.1
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	256.4	0,0	0.0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	11,249.8	9,428.5	8,333.1
სპეც. ტრანსფერი	200.0	1,900.0	2.950.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0,0	70,0	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	823.5	1,084.5	890.2
კაპიტალური ტრანსფერი	10,226.3	6,374.0	4.429.0

სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	2,053.5	439.0	0.0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	2,053.5	439.0	0.0
რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	6.812.1	4,853.4	3,888.9
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	756.7	477.6	00
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები	604.0	604,0	604.0
სხვა სახის ტრანსფერები	0.0	0.0	0,0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 380.0

ათასი ლარით:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	285.7	312.9	380.0
შემოსავლები საკუთრებიდან	127.4	132.9	150.0
პროცენტი	0,0	15,0	20,0
დივიდენდები	0.0	0,0	0.0
რენტა	127.4	117.9	130.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	36.5	50.0	100.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	36.5	20.0	65.0
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
სანებართვო მოსაკრებელი	0.0	5.0	50.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	0.0	15.0	15.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	35.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0,0	30,0	35.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	7.7	20,0	30.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	0.0	0,0	0,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	114.1	110,0	100.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 12,217,4

ათასი ლარით:

დასახელება	2024 წლის ფაქტი		2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა	
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	9,113.7	11,276.9	974.4	10,302.5	12,217.4	766.3	11,451.1
შრომის ანაზღაურება	2,530.2	3,144.1	0.0	3,144.1	3,406.1	0.0	3,406.1
საქონელი და მომსახურება	2,516.1	2,552.2	968.9	1,583.2	2,352.8	766.3	1,586.5
პროცენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	3,621.9	5,116.7	0.0	5,116.7	5,901.5	0.0	5,901.5
სოციალური უზრუნველყოფა	260.5	340.3	0.0	340.3	391.0	0.0	391.0
სხვა ხარჯები	125.0	73.7	5.5	68.2	166.0	0.0	166.0

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 8,122.6 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 8,172.6 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 50.0

ათასი ლარით:

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	1,030.2	257.2	75.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,030.2	257.2	75.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8,957.6	9,506.3	8,097.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,110.4	5,409.6	3,684.6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,173.5	944,0	1,073,5
02 03	გარე განათება	10.0	50.4	0.0
02 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,620.0	1,982.6	2,202.5
02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	412.8	514.4	300.0
02 06	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	603,7	604,0	604.0
02 07	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0	0,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0.0	0.0	0.0

03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0.0	0.0	0.0
04 00	განათლება	0.0	0.0	0.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	0.0	0.0	0.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	0.0	0,0	0,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	0.0	0,0	0,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	0.0	0,0	0,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0.0	0.0	0.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	10,048.9	9,587.3	8,172.6

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5,710.0	6,168.9	6,420.2
7.1.1	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5,391.4	5,720.4	5,888.2
7.1.1.1	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,391.4	5,720.4	5,838.2
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0,0	50.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	318.5	448.5	525.0
7.2	თავდაცვა	0.0	0,0	0.0
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	0.0	0,0	0.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	8,677.2	8,617.2	7,049.3
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1,681.6	1,105.0	1,162.1
7.4.5	ტრანსპორტი	5,299.7	5,513.1	3,684.6
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,299.7	5,513.1	3,684.6
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0.0	0,0	0,0
7.5	გარემოს დაცვა	369.4	262,0	293.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	369.4	262,0	554.0

7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	1,192.9	2,676.6	1,571.5
7.6 1	ბინათმშენებლობა	174.4	0,0	0.0
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.0	486,0	554.0
7.6 3	წყალმომარაგება	982.2	1,171.3	1,248.5
7.6 4	გარე განათება	36.3	75.3	30.0
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	0.0	0,0	0.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	178.6	241.3	267.3
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	178.6	241.3	267.3
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,648.8	2,321.4	2,634.5
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	501.1	703.3	830.5
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,119.0	1,593.9	1,763.0
7.8.3	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	21.7	19.9	25,0
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	7.0	4.3	16.0
7.9	განათლება	1,077.8	1,396.0	1,555.7
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1,077.8	1,396.0	1,555.7
7.9 2	ზოგადი განათლება	0.0	0,0	0.0
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	0.0	0,0	0.0
7 10	სოციალური დაცვა	303.6	335.7	320.0
7 1 012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	211.5	269.6	239.0
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	211.5	0.0	239.0
7 10 2	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	2.4	10.0	2.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	18.2	41.5	35.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0.0	0,0	0.0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	71.5	14.6	44.0
	სულ	19,158.2	21,075.1	20,372.5

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -3,240.2 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 4,882.5 ათასი ლარით:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	9,667.3	5,936.8	4,882.5
მთლიანი სალდო	-374.0	-3,355.2	-3,240.2

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს - 3,250.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	-374.0	-3,367.0	-3,250.2
ზრდა	3,366.9	0,0	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	3,366.9	0,0	3,250.2
კლება	3,740.9	3,367.0	0.0
ფასიანი ქაღალდები გარდა აქციებისა	3,740.9	3,367.0	0.0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 10,0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სააღსრულებლო ბიუროს მიერ დაკისრებული ჯარიმების გადახდას.

თავი II

ლენტების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 8.340.6 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8.340.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურა	3,684.6
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლაშენახვა (გზები და ხიდები)	3,684.6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1.073.5
02 02 01	წყლის სისტემის ექსპლოატაცია	335.1
02 02 02	სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	728.4
02 03	გარე განათება	30.0

02 03 01	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია	30.0
02 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,202.5
02 04 01	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (სკვერებისა და ფასადების მოწყობა)	2,202.5
02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	520.1
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	604.0
02 07	ა(ა)იზ ფერმერული მომსახურების ცენტრი	213.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		3,684.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდას და სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ასევე, გზის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდება საჭიროების შესაბამისად		
მიღწეული შედეგი	დ. ლენტეხის, ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებზე ჩატარდა თოვლის საფარისაგან გაწმენდითი სამუშაოები გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი დ.ლენტეხის და სოფლების მოსახლეები.		

	კოდი		დაფინანსება
პროგრამის დასახელება		წყლის სისტემის განვითარება	ათას ლარში
	02 02		1.073.5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 6. სუფთა წყალი და სანიტარია		
	პროგრამა ითვალისწინებს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც დ. ლენტეხში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია: - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს წყალს; - წყლის სისტემების		

პროგრამის აღწერა და მიზანი	ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედგება 1 ქვეპროგრამისაგან - წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		335.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 6. სუფთა წყალი და სანიტარია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლენტეხის მუნიციპალიტეტის 8 ადმინისტრაციულ ერთეულში (გარდა დ.ლენტეხის) 2700 კომლის წყალმომარაგებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის შეუფერხებელ წყლის მიწოდებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება: - დაზიანებული მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოები. - მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის წყლის შეუფერხებელი მიწოდება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯგებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		728.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უხვი ნალექის დროს არსებულ სანიაღვრე სისტემები ვერ უზრუნველყოფს წყლის ნაკადის შეჩერებას. ხდება საგზაო ინფრასტრუქტურისა და კერძო საკარმიდამო ნაკვეთების და კომერციული ფართების დატბორვა, საფრთხე ექმნება მოქალაქეთა ჯანმრთელობას.		
მოსალოდნელი შედეგი	სტიქიის უარყოფითი შედეგების პრევენცია. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		30.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 7. ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია.		
	ლამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს		
პროგრამის აღწერა	შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს დ.ლენტეხში და 7 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიი 50%. გარე განათების სისტემა მოიცავს 700-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 1000-ზე მეტ სანათ წერტილს, 2800 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: - გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია; - კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში.გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი. 2026 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება, ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		30.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 7. ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია.		
	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს დ.ლენტეხში ასევე 7 ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 50%.		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	(დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: - უნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურებისგამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - ქსელის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა, შეკეთება.
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (სკვერები და ფასადები)	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		2,202.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობების მიმდინარე შეკეთება.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ხელმისაწვდომობა შეკეთებულ შენობებზე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საპროექტო და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 05		520.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და მიმდინარე სამუშოების საზედამხედველო მომსახურება.		
მოსალოდნელი შედეგი	შეიქმნას მაქსიმალურად ზუსტი და ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაცია და მოხდეს მიმდინარე სამუშაოების კონტროლი		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	02 06		604,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლენტეხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით განხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თახებით დაფინანსება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე საკუთარი შემოსავლებით წილობრივად. სამუშაოების შესრულება განხორციელდება სოფლის მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტით, რაც დამტკიცებულია საკრებულოს განკარგულებით.
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული იქნას სოფლების ინფრასტრუქტურა და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 847.0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	847.0
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	554.0
03 02	ა(ა)იპ გარემოს დაცვის და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი	293.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანას	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		554.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობა		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 6. სუფთა წყალი და სანიტარია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლენტეხის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი წაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში ახორციელებს დაბისა და მუნიციპალიტეტში შემაჯალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას.		
	დასუფთავების ღონიძიებები ხორციელდება დ.ლენტეხის ქუჩებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე 6 ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრებიდან. რომელსაც ემსახურება		
	34 მეუზოვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 250 ურნა, ყოველდღიური დასუფთავების შედეგად მუნიციპალიტეტიდან კვირაში გადის 14 მ³ ნარჩენის გატანა ხორციელდება 2 ნაგავმზიდის მეშვეობით ცაგერის (მერიის) ნაგავსაყრეზე.		

	- მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე დასუფთავების ღონისძიებების განხორციელების მიზნით დამატებით საჭიროა ურნებისა და სპეც მანქანების შესყიდვა.
მოსალოდნელი შედეგი	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ გარემოს დაცვის და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		293.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების აგრარული და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 6. სუფთა წყალი და სანიტარია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ლენტეხის ტერიტორიაზე არსებული ფლორისა და ფაუნის დაცვის და მისი რაციონალურად გამოყენების მონიტორინგი, წყლის ფონდის დაცვა განსაკუთრებით მათი კალაპოტების ნარჩენებისაგან დაცვა, მიზნობრივი გამოყენებისათვის მონიტორინგის ჩატარება, აგრეთვე უნიკალური ჯიშის ცისარტყელა კალმახის დაცვის მიზნით ყოველდღიური მონიტორინგი მდინარე ხელედურაზე.		
მოსალოდნელი შედეგი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, აგრალური მიმართულების საკითხების და ეკოლოგიური განათლების განვითარება ლენტეხის მუნიციპალიტეტში.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,555.7 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
კოდი		
04 00	განათლება	1,555.7
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1,555.7

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		1,555.7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადმზრდელო ცენტრი		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 4. ხარისხიანი განათლება		
	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა		

პროგრამის აღწერა და მიზანი შედეგი	მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია
	მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.
	შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 158-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 134 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:
	ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;
	ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;
	ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
	ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;
	ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა;
	ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.
	ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,634.5 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,634.5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	830.5
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	160.0
05 01 02	ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრი	123.0
05 01 06	ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების ცენტრი ლაილა	226.0
05 01 07	ა(ა)იპ სასპორტო სკოლების გაერთიანება	321.5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1.788.0

05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	50.0
05 02 04	ა(ა)იპ საზიზლიოთეკო გაერთიანება	272.8
05 02 05	ა(ა)იპ ლ.მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	207.7
05 02 13	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	25.0
05 02 14	ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება	951.0
05 02 15	ა(ა)იპ ჯ.მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრი	281,5
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	10.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	6.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01		160.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 3, SDG 4		
	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: ლენტეხის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ლენტეხის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენების წახალისება ფულადი ჯილდოთი;		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და სპორტი ბარიერების გარეშე-ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალური სპორტული ტურნირების ორგანიზება პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ყველა ასაკობრივი ჯგუფების ჩართვა მასობრივ სპორტის სახეობებში; წარმატებული, ახალგაზრდა სპორტსმენების დაჯილდოება.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპორტულ ღონისძიებებში ჩართვა. მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, წარმატებული და ღვაწლმოსილი სპორტსმენების და მწვრთნელების დაფასება და მათი მოტივაციის გაზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 02		123.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრი		

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 3, SDG 4
	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: ა(აპ.ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრი გახლავთ სპორტული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს კარგი მატერიალურ - ტექნიკური ბაზა როგორცაა: რაგბის და ფეხბურთის სტადიონი, თანამედროვე სარბენი ბილიკი, საცურაო აუზი, ტრენაჟორების დარბაზი, საშხაპეები.(ცალკე ვაჟებისათვის, ცალკე გოგონებისათვის) ათი ერთეული სხვადასხვა სახეობის სავარჯიშო დანადგარი, საკონფერენციო დარბაზი 50 კაცზე, ინტერნეტი. ცენტრში დასაქმებულია სულ: 14 თანამშრომელი, ფუნქციონირებს რაგბის, ფეხბურთისა და მკლავჭიდის სექციები, სადაც გაერთიანებულია სულ: 87 სპორტსმენი, მათგან: რაგბში -50, ფეხბურთში-25 ხოლო, მკლავჭიდში -12 აღსაზრდელი.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ოლიმპიური ცენტრის მიზანია სპორტული მონაცემებით დაჯილდოებული ბავშვების და მოზარდი თაობის შერჩევა პროფილის შესაბამისად, მათი მეთოდური აღზრდა, დაოსტატება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, მასობრივი სპორტის განვითარება და დამკვიდრება მოზარდ თაობაში. ნაკრები გუნდის წევრებისთვის-სპორტის სახეობების მიხედვით: რაგბი, ფეხბურთი, მკლავჭიდი მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, მონაწილეობის მიღება სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსი და სხვა სპორტული ფედერაციების მიერ დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში.
მოსალოდნელი შედეგი	მაქსიმალური მონაწილეობის მიღება წინასწარ დაგეგმილ ყველა შეჯიბრში და მაღალი შედეგების ჩვენება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი „ლაილა“	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 06		226.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი „ლაილა“		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 3, SDG 4		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ძირითადი მიზანი გახლავთ ქვემო სვანეთის ტურისტული პოტენციალის და სერვისების პოპულარიზაცია, რეკლამირება. ბუკლეტების და გზამკვლევების გამოცემა საჭიროებისამებრ, სოციალურ ქსელებში და ინტერნეტფორუმებში აქტიური მუშაობა, ინტერნეტსაიტზე განთავსება და ადმინისტრირება. ღირსშესანიშნავი ადგილების და ქვემო სვანეთის ტურისტული პოტენციალის მქონე ტერიტორიების და ძეგლების განთავსება და აღწერა. ტურიზმის დეპარტამენტთან და ტურისტული მომსახურების ცენტრებთან, სააგენტოებთან მჭიდრო თანამშრომლობა. ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად სხვა და სხვა პროექტების მომზადება და სხვა აქტივობები - ახალგაზრდობის ჩართულობით. ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა, შესწავლა, ინფორმაციის შეგროვება, მცირე პრეზენტაციების მოწყობა თემაზე ქვემო სვანეთის ღირსშესანიშნაობები. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და სხვა ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, გაცნობა და მისი პიარი.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსალოდნელი შედეგი იქნება ქვემო სვანეთის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეკონომიკური კეთილდღეობის საწინდარიც გახდება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ.ლენტეხის სასპორტო სკოლების გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 07		321.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ.ლენტეხის სასპორტო სკოლების გაერთიანება		
გაეროს მდგრადი			

განვითარების SDG მიზანი	SDG 3, SDG 4
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ა(ა)იპ ლენტეხის სასპორტო სკოლების გაერთიანებაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: ლენტეხის კომპლექსური სასპორტო სკოლა, მეკლდეურობის სკოლა და ლაშხეთის სასპორტო სკოლა. გაერთიანების ძირითად ბაზებს წარმოადგენს: დაბა ლენტეხის კომპლექსური სასპორტო სკოლა, ლენტეხის #1 , ჩოლურის, ხელედის და ლაშხეთის საჯარო სკოლები. სასპორტო სკოლების გაერთიანებაში დასაქმებულია სულ 25 თანამშრომელი, რომელთა უმრავლესობა არის კვალიფიციური მწვრთნელი, ისინი ავარჯიშებენ მოსწავლე ახალგაზრდობას ქართულ ჭიდაობაში, ჭიდაობა მიუდოში, სამბოში, ფრენბურთში, კალათბურთსა და მეკლდეურობაში. გაერთიანებაში სულ 202 აღსაზრდელია, მათგან: ჭიდაობის სექციებში გაერთიანებულია-130 ბენეფიციარი.(ჩიხარეშის სკოლაში-30, ჟახუნდერის სკოლაში-30, ჩოლურის სკოლაში-16, ხელედის სკოლაში-14 და ლენტეხის კომპლექსურ სკოლაში-40). ფრენბურთის სექციებში გაერთიანებულია სულ-62 სპორტსმენი (ჩიხარეშში-20, ხელედში-12, დაბა ლენტეხში-30), მეკლდეურობის სექციას ჰყავს სულ: 10 აღსაზრდელი. სასპორტო სკოლების გაერთიანების მიზანია მოზარდი თაობის აღზრდა, დაოსტატება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, პოპულარიზაცია. სათანადო პირობების შექმნა მათი წვრთნისა და დაოსტატების საქმეში. მონაწილეობის მიღება სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და სხვა სპორტული ფედერაციების მიერ დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში.
მოსალოდნელი შედეგი	
	მოზარდი თაობის ჩართულობის გაზრდა სპორტის სხვა და სხვა სახეობებში, საქართველოს ჩემპიონთა და პრიზიორთა რიცხვის გაზრდა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		50.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 3, SDG 4		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების		
	შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		272.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანება		

სამსახური	
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 3, SDG 4
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანება, რომელიც შედგება 1-ცენტრალური 1 საბავშვო და 16 სასოფლო ბიბლიოთეკისაგან. საბიბლიოთეკო გაერთიანების წიგნადი ფონდი მთლიანად შეადგენს 35 ათას ერთეულს. დასაქმებულია 45 თანამშრომელი. მთავარ ბიბლიოთეკაში ეწყობა ახალი წიგნების პრეზენტაცია და საჯარო კითხვის დღე, თემატური საღამოები გამოფენები, ლექციები სხვადასხვა თემაზე. ეწყობა ახალი წიგნების პრეზენტაცია. იშვიათად, მაგრამ მაინც ხერხდება გაერთიანებაში შემავალი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შევსება.
მოსალოდნელი შედეგი	
	მკითხველთა გაზრდილი რაოდენობა და დაინტერესება ახალი წიგნადი ფონდით

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა.(ა)ი.პ. ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფუნციონირების ხელშემწყობი ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 05		207.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა.(ა)ი.პ. ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფუნციონირების ხელშემწყობი ღონისძიებები		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 3, SDG 4		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროექტები: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი,რომელიც ხელს უწყობს სვანეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების საგანძურის პოპულარიზაციას.მუზეუმში დაცულია დაახლოებით 4000 მდე ექსპონატი. მათ შორის ეთნოგრაფიული,არქეოლოგიური, ყოფითი ნივთები და სტამბური წიგნები.მუზეუმში დასაქმებულია 18 თანამშრომელი,წლის განმავლობაში მასპინძლობს 1500 მდე უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტორებს,მუზეუმში ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიებები.აწყობს გასვლით ექსპედიციებს ქვემო სვანეთის სოფლებში ღირებული ექსპონატების მოსაძიებლად. პროგრამის მიზანია სხვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება,ექსპონატების შეგროვება- დაცვა-პოპულარიზაცია		
მოსალოდნელი შედეგი	მოპოვებული ექსპონატების დაცვა-პოპულარიზაცია, ვიზიტორთა რაოდენობის მატება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. კულტურის დსწესებულებათა გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 14		951.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. კულტურის დსწესებულებათა გაერთიანება		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 3, SDG 4		
	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება, სადაც დასაქმებულია 65 თანამშრომელი. გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:		

	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი „ძიება+“, ჯოკია მეშველიანის სახელობის ანსამბლი „ლილე“ ,ხელოვნების სკოლა „თ ო რ ა ა ნ ი“, სამხატვრო სკოლა, სამუსიკო სკოლა, ჩოლოურის ფოლკლორის სახლი, ნანარის კულტურის სახლი, ხელედის კულტურის სახლი, ანსამბლი :ლაშხეთი“, სოფ. ჩიხსრემის ანსამბლი და 7 სასოფლო საკლუბო დაწესებულება. კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მიზანია: სვანური ფოლკლორის, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ფოლკლორის უნიკალური ნიმუშების შენარჩუნება და მსმენელამდე მიტანა, ძველი საგალობლების აღდგენა, ჭუნირზე და ჩანგზე დაკვრის სწავლება, ხის ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგიის დახვეწა, ძველი ქართული ორნამენტების მოძიება და დამუშავება , სვანური ქუდების დამზადება და სხვ. კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ სამხატვრო სკოლაში მოსწავლეები ეუფლებიან ხალხურ რეწვას, გობელენს, ხეზე კვეთას, ფერწერას, ძერწვას, ქსოვას და სხვ. კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების მიზანია ახალგაზრდობისა და მისახლეობის ფართო მასების ჩაბმა სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძიებებში, როგორც ადგილობრივ, ასევე საქართველოს სხვა რეგიონში და საზღვარგარეთაც. ასევე მოსწავლე ასალგაზრდულ სახლში ბავშვები ეუფლებიან ფოლკლორს, ხალხურ საკრავებზე დაკვრის ხელოვნებას, საესტრადო სიმღერების შესწავლას, სასცენო ხელოვნებას, მხატვრულ კითხვას, საქართველოს და საგნობრივი წრეებში ცოდნის გაღრმავებას. ასევე შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ფასიანი და საერო დღესასწაულების ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა არაფორმალური განათლებაზე; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობა გაზრდილი მაჩვენებელი. სვანური ფოლკლორის, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ფოლკლორის უნიკალური ნიმუშების შენარჩუნება და მსმენელამდე მიტანა, ძველი საგალობლების აღდგენა, ჭუნირზე და ჩანგზე დაკვრის სწავლება, ხის ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგიის დახვეწა, ძველი ქართული ორნამენტების მოძიება და დამუშავება , სვანური ქუდების დამზადება და სხვ.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. “ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრი“	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 15		281.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა.(ა)ი.პ. ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობი ღონისძიებები		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 3, SDG 4		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. „ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრი,სადაც დასაქმებულია 35 თანამშრომელი და მოქმედებს სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი „ლაგუმედა“. ქვეპროგრამა მოიცავს: ა) სვანური ფოლკლორის (სიმღერის და ცეკვის) აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეების ფილკლორის (სიმღერისა და ცეკვის) უნიკალური ნიმუშების შენარჩუნებას, უკვე მივიწყებული სიმღერების აღდგენას და მსმენელისთვის მათ მიწოდებას ბ) ხალხის წიაღში არსებული ძველი სიმღერების შესწავლას, დამუშავებას და მსმენელის წინაშე წარდგენას ქვეპროგრამის მიზანია ფილკლორულ ფესტივალებში და სახალხო დღესასწაულებში მონაწილეობა,ფოლკლორული საღამოების მოწყობა ლენტეხში და საქართველოს სხვა რეგიონებში.		
მოსალოდნელი შედეგი	შენარჩუნდება სვანური ფოლკლორი და საქართველოს სხვა კუთხეების ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 03		10.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 3, SDG 4
